GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 199
თარიღი: 19 04 2017 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 5 17 00335304

07/04/2017

ააიპ " საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ელ-ფოსტა : n.vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო პაატა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2017 წლის 30 მარტის განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N307816; 31.03.2017) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, "ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა პედაგოგს ავალდებულებს კონკრეტული საგნის სწავლა-სწავლების პროცესში დაამუშაოს სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო შინაარსობრივი საკითხები. ეროვნული სასწავლო გეგმის ისტორიის საგნობრივ სასწავლო გეგმაში მოცემულია სავალდებულო საკითხები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს, 2008 წლის ომის თემის დამუშავების აუცილებლობაზე (მაგალითად, VIII კლასის სავალდებულო შინაარსობრივი საკითხია ,,რეგიონალური კონფლიქტები'' საქართველოში - რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოში). ასევე, სხვადასხვა კლასების საგნებში არის ისეთი საკითხებიც, რომელიც პედაგოგს აძლევს საშუალებას, შეეხოს აგვისტოს ომის თემას (მაგალითად, VI კლასის საკითხებია: „თანამედროვე საქართველო და გარესამყარო", „იძულებით გადაადგილებულები საქართველოში", IX კლასის საკითხია „დამოუკიდებელი საქართველო: დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება, ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ, "ვარდების რევოლუცია", XII კლასის საკითხია „პერესტროიკა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა –დამოუკიდებელი საქართველო"). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგი არ არის ვალდებული კონკრეტული საკითხი აუცილებლად სახელმძღვანელოს მეშვეობით ასწავლოს, მას ასევე შეუძლია სხვა დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება. სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით ნებისმიერ კლასში შეიძლება 2008 წლის ომის თემაზე საუბარი. ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმა არ განსაზღვრავს იმას, თუ რამდენი საათი უნდა დაუთმოს პედაგოგმა კონკრეტული თემის განხილვას. აღნიშნულ

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

საკითხს წყვეტს თავად პედაგოგი, სასწავლო მიზნების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.
2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსული ოკუპაციის შესახებ ინფორმაციას შეიცავს შემდეგი სასკოლო სახელმძღვანელოები:

- ჩვენი საქართველო - VI კლასი (ავტორები: მზია სურგულაძე და სხვ.);
- ისტორია - VIII კლასი (ავტორები: გიორგი სანიკიძე და სხვ.);
- ისტორია - VIII კლასი (ავტორები: ელენე მეძმარიაშვილი და სხვ.);
- საქართველოს ისტორია - IX კლასი (ავტორები: ნოდარ ასათიანი და სხვ.);
- საქართველოს ისტორია - IX კლასი (ავტორები: ოთარ ჯანელიძე და სხვ.);
- ისტორია - XII კლასი (ავტორები: ნინო კიღურაძე და სხვ.);
- ისტორია - XII კლასი (ავტორები: გვანცა აბდალაძე და სხვ.).

ასევე, გაცნობებთ, რომ ისტორია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგანია ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.
რაც შეეხება, სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხს, სასკოლო სახელმძღვანელოების თემატიკას განსაზღვრავს შესაბამისი საგნის/კლასის სასწავლო გეგმა და თავად ავტორი აღნიშნული სასწავლო გეგმით მინიჭებული თავისუფლების ფარგლებში. ბუნებრივია, აღნიშნული თავისუფლების ფარგლებში წარმოდგენილი მასალები უნდა ემსახურებოდეს სასწავლო გეგმის მიზნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომავალი გრიფირებული სახელმძღვანელოები/სერიები, რომლებიც პირველ ეტაპზე შეეხება დაწყებით საფეხურს, წარმოდგენილი იქნება სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ავტორისეული ხედვით.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ძიძიგური მარიამი

მ. ძიძიგური